საქართველოში ლგბტქი თემში თამბაქოს, ალკოჰოლის, კანაფის და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების და მათთან დაკავშირებული სოციალური ფაქტორების კვლევის ანგარიში

ავტორი: ნინო ბოლქვაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ადიქციის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ოთიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2024

განაცხადი: როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი: ნინო ბოლქვაძე

ხელმოწერა:

თარიღი: 2024 წლის 24 ივნისი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი: ლგბტქი თემის წარმომადგენლები მსოფლიო მასშტაბით და საქართველოშიც განიცდიან სტიგმა-დისკრიმინაციით განპირობებულ უმცირესობათა სტრესს. შედეგად, ჰეტეროსექსუალ ადამიანებთან შედარებით, ქვიარ ადამიანებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების სარისკო და საზიანოდ მოხმარება, ასევე შფოთვა, დეპრესიის და სხვა ფსიქიკური აშლილობების შემთხვევები უფრო ხშირია. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მცხოვრებ ქვიარებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პატერნებისა და მოტივაციის იდენტიფიცირება, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებსა და ჯანმრთელობის სოციალურ დეტერმინანტებს შორის შესაძლო კავშირების იდენტიფიცირება.

მეთოდი: კვლევის დიზაინია ჯვარედინ-სექციური, მეთოდოლოგია შერეულია და მოიცავს რაოდენობრივ გამოკითხვას და თვისებრივ ინტერვიუებს. ონლაინ კითხვარი 106-მა რესპონდენტმა შეავსო, ხოლო სიღრმისეული ინტერვიუს ფორმატში გამოიკითხა 10 რესპონდენტი.

შედეგები: ალკოჰოლზე საშუალოდ მძიმე დამოკიდებულება აქვს კვლევის რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში გამოკითხულთა 27,7%-ს, კანაფის მოხმარების აშლილობა აქვს გამოკითხულთა 5%-ს. გამოკითხულთა 44,6%-ს აქვს საშუალო და მძიმე შფოთვითი აშლილობის მაჩვენებლები, ხოლო 36,6%-ს საშუალოდ მძიმე და მძიმე დეპრესიის მაჩვენებლები. კვლევის რაოდენობრივ კომპონენტში გამოკითხულ რესპონდენტთა 74,3%-ს გამოუცდია სიძულვილით მოტივირებული ინცინდენტი და ამ რესპონდენტებში შფოთვის განვითარების შანსი 2-ჯერ მეტია (OR = 2,06, 95%CI [0,79, 5,37]), დეპრესიის განვითარების შანსი ასევე 2-ჯერ მეტია (OR = 2,23, 95%CI [0,79, 6,22]) ვიდრე იმ რესპონდენტებში, ვისაც ასეთი გამოცდილება არ აქვს, თითქმის 4-ჯერ მეტია თამბაქოს მოხმარების შანსები (OR = 3,77, 95%CI [1,45, 9,81]) და 3-ჯერ მეტი კანაფის მოხმარების შანსები (OR = 3,18, 95%CI

[8,66, 11,69]). შფოთვის განვითარების შანსი 3-ჯერ მეტია იმ რესპონდენტებშიც ვინს ბოლო 12 თვის განმავლობაში აღნიშნავდა არასაკმარის კვებას (OR = 3,04, 95%CI [1,32, 7,01]).

დასკვნა: კვლევაში მონაწილე ქვიარებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების საზიანოდ მოხმარება უმეტეს შემთხვევაში ალკოჰოლის ან/და კანაფის მოხმარებას უკავშირდება. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მოტივაციად ყველაზე ხშირად შფოთვის შემცირება და გუნებაგანწყობილების გაუმჯობესება სახელდება. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ასოციაციები გამოიკვეთა: ა) რესპონდნეტების მიერ განცდილ სტიგმა/დისკრიმინაციას, ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობასა და შფოთვა/დეპრესიას, ასევე თამბაქოს, ალკოჰოლის, კანაფის მოხმარებას შორის. ბ) თამბაქოს, ალკოჰოლის მოხმარებასა და შფოთვა, დეპრესიას შორის. გ) ფინანსურ საფრთხეებს როგორიცაა ბოლო 12 თვის განმავლობაში არასაკმარისი კვება და ექიმთან მისვლის შეუძლებლობა უსახსრობის გამო და შფოთვა, დეპრესიას, ასევე თამბაქოს და ალკოჰოლის მოხმარებას შორის.

საძიებო სიტყვები: LGBTQI; Queer; Sexual Minorities, Minoritiy Stress; Mental Health; Anxiety; Depression; Tobacoo; Alchohol; Cannabies; SUD

Objective: Examination of the stress experienced by members of the LGBTQI community globally, which arises from stigma and discrimination. Consequently, individuals within the community are more susceptible to the risky and harmful use of psychoactive substances, as well as higher incidences of anxiety, depression, and other mental disorders, compared to their heterosexual counterparts. The research objective was to identify patterns of psychoactive substance use by LGBTQI people living in Georgia, as well as to identify possible connections between psychoactive substance use, mental health problems, and social determinants of health.

Method: The research was conducted among LGBTQ individuals residing in Georgia utilizing a mixed-method approach. A total of 106 participants completed an online questionnaire as part of a cross-sectional study, while 10 participants were interviewed through in-depth interviews employing the phenomenological method.

Results: On average, 27.7% of respondents in the quantitative component of the research exhibit a moderate addiction to alcohol, while 5% of respondents have a cannabis use disorder. Additionally, 44.6% of respondents show indicators of moderate to severe anxiety disorder, and 36.6% demonstrate indicators of moderate to severe depression. In the quantitative component of the study, 74.3% of respondents reported experiencing a hate-motivated incident. These respondents were twice as likely to develop anxiety (OR = 2.06, 95% CI [0.79, 5.37]) and depression (OR = 2.23, 95% CI [0.79, 6.22]) compared to those with no such experience. They were also nearly four times more likely to use tobacco (OR = 3.77, 95% CI [1.45, 9.81]) and more than three times as likely to use cannabis (OR = 3.18, 95% CI [1.08, 9.38]). The odds of developing anxiety were three times higher among respondents who reported being undernourished in the past 12 months (OR = 3.04, 95% CI [1.32, 7.01]).

Conclusion: The harmful and risky use of psychoactive substances among the queer participants in this study is predominantly associated with alcohol and cannabis consumption. The primary motivations for using these substances are to alleviate anxiety and enhance mood. Statistically significant associations were revealed:

a) Between stigma and discrimination, physical and sexual violence, and the respondents' experiences of anxiety and depression, as well as their use of tobacco, alcohol, and cannabis.

b) Between tobacco and alcohol consumption and the presence of anxiety and depression.

c) Between financial threats, such as not having enough food in the last 12 months and being unable to visit a doctor due to lack of money, and the prevalence of anxiety, depression, and the consumption of tobacco and alcohol.

Keywords: LGBTQI; Queer; Sexual Minorities, Minority Stress; Mental Health; Anxiety; Depression; Tobacco; Alcohol; Cannabis; SUD

მადლიერების გამოხატვა

გულითად მადლობას ვუხდი დახმარებისთვის, თანამშრომლობისთვის, საქართველოში მეცნიერების განვითარებისთვის თავდადებული შრომისთვის - კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს დავით ოთიაშვილს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამის თანადამფუძნებელს ჯანა ჯავახიშვილს და ლექტორს ირმა კირთაძეს. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე თვითოეულ ქვიარს, ასევე მათ ვინც გვეხმარებოდა კვლევის კითხვარების დისტრიბუციაში, მათ შორის რუსა სახეჩიძეს და ლიკა ბოლოგანს. უდიდეს მადლობას ვუხდი ასევე ჩემს პარტნიორ ქალს, რომლის მხარდაჭერითაც გადავწყვიტე მონაწილეობა მიმეღო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამაში.